| 3 - ვენტილატორი | 11- ნაშნვის წნევის გადამრთველი | 19 - სისტემის წნევის გადამრთველი |
| 4 - წვის კამერა | 12 - დამცავი თერმოსტატი | 20 - ავტომატური პაერგამშვები |
| 5 - ცხელი წყლის გადამწლი | 13 - გამონაბოლქვი აირის ქელი | 21 - ქვაბის ტუმბო |
| 6 - აირის სარქველი | 14 - მიწოდების ტემპ. გადამწლი | 22 - კოლექტორი |
| 7 - ცხელი წყლის საკადის
გადამრთველი | 15 - ბითერმული თბომცვლელი | 23 - დამცლელი სარქველი |
| 8 - სისტემის შემავსებელი
სარქველი | 16 - აალებების ელექტროლი | 24 - " ბაი-პასი " |
| | | 25 - 3 ბარი დამცვლელი სარქველი |

2 ექსპლუატაციის და ტექნომსახურების ინსტრუქცია

2.1 ზოგადი მითითებები

ყურადღება:



- კედლის ქვაბი არ უნდა იყოს განთავსებული გაბჭურის თავზე.
 - აგრეგატი შეიძლება გამოიყენონ ბავშვებმა 8 წლის ზემოთ და შეზღუდული შესაძლებლობის პირებმა, თუ ისინი არიან კონტროლის ქვეშ ან გაცნობილნი არიან ქვაბის ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესებს და მასთან დაკავშირებულ რისკებს.
 - უსაფრთხოების მიზნით შეამოწმეთ ნამწვი და ჰაერის მიმღები მილების დაბოლოებების სისუფთავე
 - ქვაბის ხანგრძლივი გამორთვისას აუცილებელია:
 - დაცალეთ წყალი გათბობის სისტემიდან, გარდა იმ შემთხვევისა როცა გამოიყენება ანტიფრიზი;
 - გამორთეთ ქვაბი დენიდან. ჩაკეტეთ სანიტარული წყლის და აირის ვენტილები.
 - საკვამლე მილების გამოსვლასთან ახლოს სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას გამორთეთ ქვაბი, ხოლო დასრულებისას შეამოწმებინეთ მილები და მათი ეფექტური მუშაობა.
 - ნუ განმინდავთ აგრეგატს ან მის ნაწილებს ადვილად აალებადი ნივთიერებებით.
- ნუ დატოვებთ ადვილად აალებად ნივთიერებებს სათავსოში სადაც განლაგებულია ქვაბი.

ნუ დაშლით ნამწვი აირებისა და ჰაერმიმღებ მილებს.



ნუ დადგებით ქვაბზე და არ გამოიყენოთ ის საყრდენად.

ნუ დაშლით თვითნებურად ქვაბს.

ყურადღება:



- ელექტროენერჯის მომხმარებელი მოწყობილობის ექსპლუატაცია ითვალისწინებს გარკვეულ უსაფრთხოების წესებს, კერძოდ:
- ნუ შეეხებით მოწყობილობას სხეულის სველი ნაწილებით. ნუ შეეხებით ფეხშიშველი;
 - ნუ მოქაჩავთ ელექტრო კაბელს და ნუ დატოვებთ ქვაბს ატმოსფერული ნალექების ქვეშ (წვიმა, თოვლი და ა.შ.);
 - ნუ გამოცვლით ელექტრო კაბელს თვითნებურად;
 - ელექტრო კაბელის დაზიანების შემთხვევაში მიმართეთ კვალიფიციურ პერსონალს;
 - ქვაბის ხანგრძლივი გამორთვის შემთხვევაში გამორთეთ ძირითადი ელექტრო ამომრთველი.

ყურადღება:



50° -ზე მეტმა წყლის ტემპერატურამ შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა, გამოყენების წინ ყოველთვის შეამოწმეთ წყლის ტემპერატურა.

ქვაბის დისპლეიზე ტემპერატურის მნიშვნელობა შეიძლება განსხვავდებოდეს რეალურისგან ±3 °C-ით. ეს განპირობებულია გარე პირობებით და არაა დამოკიდებული ქვაბზე



ყურადღება



სათავსოში აირის სუნის აღმოჩენისას:

- ჩაკეტეთ აირის ვენტილი მრიცხველთან
- გახსენით კარები და ფარჯრები;
- ნუ გამოიყენებთ ღია ალს (მაგ. ასანთი, სანთებელა);
- ნუ მოწვევთ;
- ნუ გამოიყენებთ ელექტრო ჩამრთველებს, რობოტებს, ელ. ზარს, ტელეფონს და დომოფონს შენობაში.

ყურადღება:



ნამწვის სუნის ან კვამლის აღმოჩენისას გამორთეთ ქვაბი, ჩაკეტეთ აირის ვენტილი, გახსენით ფანჯარა და გამოიძახეთ შესაბამისი სამსახური.

მუშაობის ვადის ამოწურვისას მოწყობილობის უტილიზაცია უნდა მოხდეს სპეციალიზირებული სამსახურების მიერ.



უტილიზაციასთან დაკავშირებით საკითხებზე მიმართეთ მწარმოებელს.

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება


ტექ. მახასიათებლები

2.2. განმენდა და მოვლა

გათბობის ქვების უსაფრთხო, ხანგრძლივი და ეფექტური მუშაობისთვის ჩაატარეთ ყოველწლიური ტექმომსახურება, როგორც ეს შითითებულია ყოველწლიური ტექნიკური მომსახურების განყოფილებაში (პარ. 3.3), ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით



2.3 მართვის პანელი.



განმარტება:

- 1 - პარამეტრების აღდგენის ლილაკი
- 2 - ლოდინის / ზაფხულის / ზამთრის ლილაკი
- 3 - ლილაკი (+) გამოიყენებოდა ცხელი წყლის ტემპერატურის გასაზრდელად.
- 4 - ლილაკი (-) გამოიყენებოდა ცხელი წყლის ტემპერატურის შესამცირებლად.
- 5 - (+) ლილაკი გათბობის წყლის ტემპერატურის გასაზრდელად
- 6 - (-) ლილაკი გათბობის წყლის ტემპერატურის შესამცირებლად


- 7 - ქვების მანომეტრი
- 8 - სანიტარული ცხელი წყლის ფუნქცია
- 9 - ტემპერატურა და შეცდომების კოდების ჩვენება
- 10 - განზომილების ერთეული
- 11 - გათბობის რეჟიმი
- 12 - ზამთარის რეჟიმი
- 13 - ზაფხულის რეჟიმი
- 14 - სიმძლავრე
- 15 - ალის არსებობა

2.4 ბოილერის ექსპლუატაცია.

ქვაბის ჩართვის წინ დარწმუნდით, რომ სისტემა შევსებულია წყლით და მანომეტრის (7) ისარი აჩვენებს 1-დან 1.2 მდე ბარს.

- გახსენით აირის მიმწოდებელი ვენტილი
- დააჭირეთ (2) ღილაკს და დააფიქსირეთ ბაფხულის (☞) ან ზამთრის (☞) რეჟიმი.

შენიშვნა: ღილაკი (2) უნდა დააჭიროთ მანამ, სანამ არ შეიცვლება რეჟიმები ლოდინის (—), ბაფხული (☞) ან ზამთარი (☞) .

ყოველი გადართვისას ღილაკს უნდა გაუშვათ ხელი და დააჭიროთ თავიდან. 

• **ბაფხული (☞):** ბაფხულის რეჟიმის არჩევას (☞) საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის ტემპერატურის რეგულირება შესაძლებელია ღილაკებით (3-4).

• **ზამთარი (☞):** როდესაც არჩეულია ზამთრის რეჟიმი, (☞) გათბობის სისტემის ტემპერატურის რეგულირება შესაძლებელია ღილაკებით (5-6), ამავე დროს ღილაკებით (3-4) შესაძლებელია ცხელი წყლის ტემპერატურის რეგულირება, (+) ღილაკზე დაჭერით მნიშვნელობა მატულობს, ხოლო (-) ღილაკზე დაჭერით - იკლებს.

ამ მომენტიდან ქვაბი მუშაობს ავტომატურ რეჟიმში. თუ გათბობა ან ცხელი წყალი არაა საჭირო, ქვაბი გადადის „ლოდინის“ რეჟიმში. ქვაბის ყოველი ანთებისას ეკრანზე გამოისახება ალის სიმბოლო (15)

• მუშაობა დისტანციური მართვის პულტით CAR^{V2} (დამატებით)


თუ ქვაბთან მიერთებულია CAR^{V2} მართვის პანელი ქვაბის პარამეტრების რეგულირება შესაძლებელია CAR^{V2} პანელიდან, **RESET** ღილაკი რჩება აქტიური ქვაბზე, ღილაკები "+" და "-" გათბობის და ცხელი წყლის ტემპერატურის რეგულირებისთვის ასევე გადადის დისტანციურ მართვის პანელზე

• **მუშაობა მზის პანელებთან (☞).** ამ ფუნქციის არჩევასას ხდება ქვაბის მუშაობის შეთანხმება მზის პანელების მუშაობასთან.


თუ პარამეტრი P00 დაყენებულია "solar" რეჟიმზე სანთურის ჩაქრობა ხდება ცხელი წყლის დაყენებული ტემპერატურის მიხედვით, თუ არჩეულია OFF რეჟიმი სანთურა გაითიშება მაქსიმალური მნიშვნელობის მიღწევისას.

ცხელი წყლის გახსნის შემდეგ ქვაბი დაუყოვნებლივ

ერთვება. მზის პანელებთან დაწყვილებისას P04 პარამეტრის არჩევით ხდება მზის პანელების ტევადური ბოილერიდან ცხელი წყლის მიმღებ წერტილამდე არსებული მანძილის კომპენსაცია დროით.

მზის სარქველის კომპლექტთან ერთად გადაიყვანეთ პარამეტრი P00 "solar" რეჟიმზე. 

“ლოდინის ” რეჟიმი
დააჭირეთ “ლოდინის” ღილაკს სანამ არ გამოჩნდება (—); სიმბოლო; ამ მომენტიდან იგულისხმება რომ ქვაბი გამორთულია. ტუმბოს და 3 სვლიანი სარქველის ანტი-ბლოკირების ფუნქცია აქტიურია.

ყურადღება:
გამორთულ მდგომარეობაში ქვაბს მაინც ეწოდება ძაბვა. 

2.5 გაუმართაობების და ანომალიების სიგნალები

ქვების მუშაობის ანომალიის შემთხვევაში, დისპლეიზე გამოჩნდება ასო „E“ შესაბამისი შეცდომის კოდთან მონაცველობით. შეცდომის კოდები ჩამოთვლილია შემდეგ ცხრილში

შეცდომის კოდი	გაუმართაობა	მიზეზი	ბოილერის სტატუსი / მოქმედება
01	ანთების დაბლოკვა	ქვაბი არ ირთვება. პირველადი ჩართვის ან ქვაბის ხანგრძლივი გაჩერების შემდეგ შესაძლებელია საჭირო გახდეს მუშაობის ბლოკირების მოხსნა.	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
02	უსაფრთხოების თერმოსტატის ბლოკირება (გადახურება)	ჩვეულებრივი მუშაობის დროს, თუ რაღაც მიზეზების გამო მოხდა ქვაბის გადახურება, მაშინ ქვაბი დაიბლოკება გადახურების მიზეზით	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
03	ნამწვი აირის განვლის გადამწოდის ანომალია	ნამწვი აირის წნევის რელეს მუშაობის შეფერხება	ქვაბი ავტომატურად ჩაირთვება ხელახლა 30 წუთის შემდეგ გადატვირთვის გარეშე. ორი საათის განმავლობაში სამჯერ მომხდარი შეფერხების შემთხვევაში დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
05	ნაკადის ტემპ. გადამწოდის გაუმართაობა	ტემპერატურული ზონდის (NTC) გადამწოდის ანომალია.	ბოილერი არ ირთვება (1).
06	სანტარულიცხელი წყლის ზონდის გაუმართაობა	ქვაბის მართვის ბლოკმა აღმოაჩინა ტემპერატურის გადამწოდის ანომალია	ბოილერი არ გამოიმუშავებს სანტარულ ცხელ წყალს
08	პარამეტრების აღდგენის მაქსიმალური რიცხვი	დაშვებული გადატვირთვის რაოდენობა ამოწურულია	ყურადღება: ეს ანომალია შეიძლება გადაიტვირთოს 5ჯერ ზედიზედ, რის შემდეგაც ფუნქციის გამოყენება იკრძალება მინიმუმ ერთი საათით. ყოველ ერთ საათში ცდა მეორდება, მაქსიმუმ 5 მცდელობამდე. მონყობილობის გამორთვის და ჩართვის შემდეგ, შესაძლებელია კიდევ 5 მცდელობა
10	არასაკმარისი წნევა გათბობის სისტემაში	გათბობის წრედში წყლის წნევა დასაშვებზე დაბალია	ქვაბის მანომეტრზე შეამოწმეთ წნევა სისტემაში, რომელიც უნდა იყოს მინიმუმ 1÷1.2 ატმოსფერო. საჭიროების შემთხვევაში შეავსეთ სისტემა.
11	გამონაბოლქვი აირების წნევის რელეს ანომალია	ვლინდება იმ შემთხვევაში თუ არსებობს ანომალია რელეს ან ვენტილატორის მუშაობაში	თუ ნორმალური პირობები აღდგენილია, ქვაბი განაახლებს მუშაობას (1) გადატვირთვის გარეშე.
20	აალების სისტემაში ბლოკირება	აალების სისტემაში რეგულირების ანომალია	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
24	მართვის პანელის ღილაკის გაუმართაობა	მართვის ბლოკმა აღმოაჩინა პანელის ღილაკის პრობლემა	ნორმალური პირობების აღდგენის შემდეგ ქვაბი ჩაირთვება პარამეტრების აღდგენის საჭიროების გარეშე (1).
27	არასაკმარისი ცირკულაცია	ხდება ბოილერის გადახურების შემთხვევაში, რაც გამოწვეულია წყლის არასაკმარისი ცირკულაციით; შესაძლო მიზეზები: - დაბალი ცირკულაცია; შეამოწმეთ, რომ გათბობის სისტემა არ არის გადაკეტილი და რომ სისტემა დაცლილია ჰაერისგან (დაჰაერებულია); - ცირკულაციის ტუმბო დაბლოკილია; განბლოკეთ ცირკულაციის ტუმბო.	ნორმალური პირობების აღდგენის შემდეგ ქვაბი გადაიტვირთება პარამეტრების აღდგენის საჭიროების გარეშე (1).
(1)	თუ გათიშვები ან შეცდომები გაშორდება, მაშინ დაუკავშირდით ავტორიზებულ კომპანიას		

შეცდომის კოდი	გაუმართაობა	მიზეზი	ბოილერის სტატუსი / მოქმედება
28	ს ა ნ ი ტ ა რ უ ლ ი ც ხ ე ლ ი წ ყ ლ ი ს გაუქონვა	თუ გათბობის ფაზის დროს ხდება სანიტარული ცხელი წყლის ტემპერატურის ზრდა, მაშინ ტემპერატურა მცირდება რათა შემცირდეს ნადების ფორმირება თბომცვლელში	შეამონმეთ, რომ სანიტარული ცხელი წყლის სისტემის ყველა ვენტილი დაკეტილია და რომ სისტემაში არ ჟონავს წყალი. როგორც კი შიდა ცხელი წყლის სისტემაში აღდგება სწორი პირობები, ქვაბი დაუბრუნდება ნორმალურ ფუნქციონირებას (1).
31	დისტანციური მართვის კომუნიკაციის დაკარგვა.	ეს ხდება იმ შემთხვევაში თუ შეერთებული არის შეუთავსებელი დისტანციური მართვის პულტი, ან თუ კავშირი ბოილერსა და დისტანციური მართვის პულტს შორის არის დაკარგული.	გათიშეთ და ხელახლა შეუერთეთ კვება ქვაბს. თუ ხელახალი ჩართვის შემდეგ დისტანციური მართვის პულტი არ იკითხება, ქვაბის გადაერთვება „ზაფხულის“ რეჟიმზე. ამ შემთხვევაში, ქვაბის კონტროლის პანელის მარეგულირებლები ხელახლა გააქტიურდება (1).
36	IMG BUS-სთან (სალტესთან) კავშირის დაკარგვა	კავშირის დაკარგვა IMG BUS-ის პროტოკოლზე	ქვაბი არ აკმაყოფილებს ოთახის გათბობის მოთხოვნილებებს (1).
37	დაბალი ძაბვა	ეს ხდება მაშინ, როდესაც მკვებავი ძაბვა დაბალია მინოდება უფრო დაბალია, ვიდრე ეს აუცილებელია ქვაბის გამართული მუშაობისთვის	ნორმალური პირობების აღდგენის შემდეგ ქვაბი გადაიტვირთება პარამეტრების აღდგენის საჭიროების გარეშე (1).
38	ალის სიგნალის დაკარგვა	ხდება, როცა ბოილერი სწორად ინთება, ხოლო სანთურა მოულოდნელად ითიშება; ხორციელდება ანთების ახალი მცდელობა; ნორმალური პირობების აღდგენის შემდეგ ბოილერის პარამეტრების აღდგენა არ არის საჭირო.	(1).
43	დაბლოკვა ალის სიგნალის დაკარგვის გამო	ეს მოხდება, თუ " ალის სიგნალის დაკარგვის (38) " შეცდომა მეორდება ბევრჯერ ზედიზედ	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
44	დროის მოკლე ინტერვალებში გაზის სარქველის დაშვებულზე მეტი რაოდენობით გახსნა	ეს მოხდება თუ გაზის სარქველი ღიაა, ნორმალური მუშაობისთვის საჭიროზე მეტი დროის განმავლობაში, ქვაბის ჩართვის გარეშე.	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
59	დენის ძაბვის სიხშირის ანომალია	მართვის ბლოკმა აღმოაჩინა ძაბვის სიხშირის ანომალიას.	ქვაბი არ ირთვება (1).
80	გაზის სარქველის მოდულატორის მართვის ანომალია	გაზის სარქველის ან ელექტრონული მართვის ბლოკის დაზიანება დაზიანების შესაძლო გაუმართაობა, გადაჭრილი გაყვანილობა. საქვებე მუშაობს მინიმუმალური ცხელი წყლის წარმადობით	შეამონმეთ გაყვანილობა და მოდულატორის კოჭის მდგომარეობა
98	სისტემის დაბლოკვა და უშვებელი რაოდენობით შეცდომების შედეგად	მიღწეულია პროგრამული უზრუნველყოფით გათვალისწინებული შეცდომების მაქსიმალური რაოდენობა	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1).
(1)	თუ გათიშვები ან შეცდომები გამეორდება, მაშინ დაუკავშირდით ავტორიზებულ კომპანიას		

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

ტექ.მახასიათებლები

2.6 საინფორმაციო მენიუ

ლილაკების დაჭერით (3) და (4) ერთდროულად 3 წამი, აქტიურდება "საინფორმაციო მენიუ", რომელიც აჩვენებს ქვაბის ფუნქციონირების ზოგიერთ პარამეტრს.

დააჭირეთ ლილაკებს (3) ან (4) რომ გადახედოთ სხვადასხვა პარამეტრებს. მენიუდან გამოსასვლელად ხელახლა დააჭირეთ ლილაკებს (3) და (4) ერთდროულად სამი წამით ან 5 წუთი დაელოდეთ

Id პარამეტრი	აღწერა
d1	აჩვენებს ალის სიგნალს
d2	აჩვენებს ძირითადი თბომცვლელის გამოსავალი ნაკადის ტემპერატურას (ტემპერატურის გადამწოდი)
d3	აჩვენებს ცხელი წყლის ტემპერატურას თბომცვლელის გამოსვლაზე
d4	გაუმოუყენებელი
d5	აჩვენებს მიმდინარე სიმძლავრეს (მნიშვნელობა %-ში).
d6	აჩვენებს ცენტრალური გათბობის მიმდინარე ტემპერატურას (თუ არსებობს დისტანციური მართვა)
d7	აჩვენებს ცხელი წყლის დაყენებულ ტემპერატურას (თუ არსებობს დისტანციური მართვა)
E1 - E7	აჩვენებს შეცდომების კოდების ისტორიას, სადაც E1 ყველაზე ახალია

2.7 შეცდომების ისტორიის განულება.

საინფორმაციო მენიუზე > 2 წამით და < 4.5 წამით დააჭირეთ გადატვირთვის ლილაკს. "E-" გამოჩნდება დისპლეიზე. თუ ამ დროის მონაკვეთში ლილაკს ხელს აუშვებთ შეცდომების კოდების ისტორია განულდება

2.8 ქვაბის გამორთვა

დააჭირეთ ლილაკს (2 ნახ. 2-1) (⊖) სანამ სიმბოლო გამოჩნდება დისპლეიზე (—).

ყურადღება:

შენიშვნა: ამ პირობებში ქვაბს მაინც მიეწოდება დენი



გათიშეთ ქვაბი საერთო ქსელიდან და დახურეთ გაზის სარქველი მოწყობილობაზე. ნუ დატოვებთ ქვაბს ჩართულს, თუ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ აპირებთ მის გამოყენებას.

2.9 ცენტრალური გათბობის სისტემის წნევის აღდგენა

პერიოდულად შეამოწმეთ სისტემის წყლის წნევა. ქვაბის მანომეტრი უნდა აჩვენებდეს წნევას 1 დან 1.2 ბარამდე. თუ წნევა 1 ბარზე ნაკლებია (ცივ მდგომარეობაში), აღადგინეთ ნორმალური წნევა შემავსებელი სარქველის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ბოილერის ქვედა ნაწილში (ნახ. 2-2).

შენიშვნა: ოპერაციის შესრულების შემდეგ დაკეტეთ სარქველი.

თუ წნევა დაახლოებით 3 ბარია, შესაძლოა, გააქტიურდეს დამცავი სარქველი


ამ შემთხვევაში, რადიატორის ჰაერგამშვებიდან გამოუშვით გარკვეული წყლის რაოდენობა, რომ სისტემაში წნევა დაეცეს, ან მიმართეთ კვალიფიციურ პერსონალს ამ ოპერაციის შესასრულებლად

თუ წნევა ხშირად ვარდება, დაუკავშირდით კვალიფიციურ პერსონალს, რათა თავიდან აიცილოთ სისტემიდან გაუონვის რისკი.

2.10 წყლის დაცლა გათბობის სისტემიდან

1. დარწმუნდით, რომ შემავსებელი ონკანი ჩაკეტილია.
2. გახსენით დამცლელი ონკანი (პარაგრ. 1.23).
3. გახსენით ყველა ჰაერგამშვები.
4. დაცლის შემდეგ დაკეტეთ დამცლელი ონკანი
5. ჩაკეტეთ ადრე გახსნილი ყველა ჰაერგამშვები.

ხედი ქვევიდან.



- აღნიშვნები
- 1 - შემავსებელი სარქველი
 - 2 - დამცლელი სარქველი

ყურადღება

თუ სისტემის წრედში გამოყენებული იყო გლიკოლი, უზრუნველყავით მისი უტილიზაცია შესაბამისი სტანდარტების თანახმად.



11 სანიტარული ცხელი წყლის სისტემის დაცლა.

დაცლამდე აუცილებლად ჩაკეტეთ ქვაბში შემავალი ცივი წყლის ვენტილი.

გახსენით ნებისმიერი ცხელი წყლის ონკანი სისტემაში წნევის შესამცირებლად

2.12 კორპუსის განმენდა.

განმინდეთ ქვაბის კორპუსი სველი ტილოთი და ნეიტრალური საწმენდი საშუალებებით.

ნუ გამოიყენებთ აბრაზიულ საწმენდ საშუალებებს ან ფხვნილებს

2.13 საბოლოო გამორთვა.

თუ გადაწყვიტეთ ქვაბის საბოლოო გამორთვა და მისი ექსპლუატაციიდან გამოყვანა მიმართეთ კვალიფიციურ ტექნიკოსს. დარწმუნდით, რომ მოწყობილობა გამორთულია აირის მაგისტრალიდან, ელექტროენერგიიდან და წყლიდან.

3 ტექნომსახურება და პირველადი ჩართვა

3.1 უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი მოთხოვნები.

ყურადღება:

პერსონალი, რომელიც ახორციელებს ქვაბის მონტაჟს და ტექნიკურ მომსახურებას აუცილებლად აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი პირადი დაცვის საშუალებებით, რომლებიც დადგენილია ამ დარგში მოქმედი კანონებით.



ყურადღება:

ტექნომსახურების დაწყების წინ შეამოწმეთ შემდეგი:
- გამოთვით მკვებავი ძაბვა მონყობილობიდან;
- ჩაკეტეთ აირის ონკანი;
- შეამცირეთ წნევა გათბობის და სანიტარული წყლის სისტემაში.



სათადარიგო ნაწილების მიწოდება.

გარანტია ხელსაწყოზე შეიძლება იქნეს გაუქმებული თუ აღმოჩნდა, რომ ქვაბის შეკეთების ან ტექნომსახურების დროს გამოყენებული იყო არასათანადო ნაწილები. ეს გამოიწვევს აგრეთვე მონყობილობის შეუთავსებლობას არსებულ ნორმატიულ დოკუმენტების მოთხოვნებთან. შემთხვევებიდან გამომდინარე კომპონენტების შეცვლის დროს აუცილებლად გამოიყენეთ ორიგინალური Immergas-ის სათადარიგო ნაწილები



თუ აუცილებელია დამატებით დოკუმენტაციასთან გაცნობა მიმართეთ ავტორიზირებულ სერვის ცენტს



3.2 ქვაბის სანყისი შემოწმება და პირველადი ჩართვა



ქვაბის ექსპლუატაციაში შესაყვანად:

- შეამოწმეთ შეერთება 230ვ - 50 ჰც ელექტროქსელთან, სწორი L - N პოლარობა და დამინება;

- დარწმუნდით, რომ სისტემა შევსებულია წყლით და მანომეტრის ისარი აჩვენებს წნევას 1 - 1.2 ბარი.

- ჩართეთ ქვაბი და შეამოწმეთ სწორი ანთება;

- შეამოწმეთ ვენტილატორის ბრუნთა რიცხვი;

- შეამოწმეთ CO2 ნამწვ აირებში შემდეგ სიმძლავრეებზე:

. მაქსიმალური

. მინიმალური

- მნიშვნელობები უნდა შეესაბამებოდეს ცხრილში (პარ. 3.3) ნაჩვენებს;

- შეამოწმეთ აირის მიწოდების შეფერხების დროს უსაფრთხოების კვანძის მუშაობა და მოქმედების დრო;

- შეამოწმეთ ძირითადი ელ. ამომრთველის მუშაობა;

- შეამოწმეთ გამწოვი და ჰაერის მიმღები მილების დაბლოკვების სისუფთავე;

- შეამოწმეთ მარეგულირებელი მონყობილობების მოქმედება;

- დალუქეთ აირის რეგულირების კვანძი (თუ ხდებოდა მისი ახალი რეგულირება);

- შეამოწმეთ სანიტარული ცხელი წყლის წარმადობა;

- შეამოწმეთ გათბობის და წყლის სისტემების ჰერმეტიულობა;

- შეამოწმეთ ქვაბის დაყენების ადგილის ვენტილაცია/ განიავება.

იმ შემთხვევაში თუ არ დაკმაყოფილდა ზემოთ ჩამოთვლილი უსაფრთხოების ზომების ერთი პუნქტიც კი - არ ჩართოთ ქვაბი.

3.3 ქვების ყოველწლიური კონტროლი.



ქვების ხანგრძლივი, უსაფრთხო და ეფექტური მუშაობისთვის ყოველწლიურად უნდა ჩატარდეს ტექნიკური მომსახურება, რაც გულისხმობს შემდეგს:

- გაასუფთავეთ თბომცვლელი ნამწვი აირების მხრიდან;
- გაასუფთავეთ სანთურა;
- შეამოწმეთ ანთების და ალის მაკონტროლებელი ელექტროდების განლაგება და აუცილებლობის შემთხვევაში განმინდეთ;
- წვის კამერაში დაბინძურების აღმოჩენის შემთხვევაში გაასუფთავეთ ის სპეციალური რბილი ჯაგრისით, დაუშვებელია ამ მიზნით მეტალის ჯაგრისების გამოყენება (შეიძლება გამოიწვიოს თბომცვლელის დაზიანება). ასევე არ შეიძლება მჟავა და ტუტოვანი სარეცხი საშუალებების გამოყენება;
- შეამოწმეთ წვის კამერაში საიზოლაციო პანელები, გამოცვალეთ თუ დაზიანებულია;
- ვიზუალურად დაათვალიერეთ შეერთების ადგილები გაჟონვაზე, ასევე კონდენსატის არსებობა დახურულ კამერაში.
- შეამოწმეთ კონდენსატის გადაღვრის სიფონი;
- შეამოწმეთ სანთურის და აირის კოლექტორის შუასადებები. ნებისმიერ შემთხვევაში შეცვალეთ ეს შუასადებები ყოველ 2 წელიწადში ერთხელ მიუხედავად მათი მდგომარეობისა.
- სანთურაზე არ უნდა იყოს მექანიკური დაზიანებები და მყარად უნდა იყოს დაფიქსირებული წვის კამერის ხუფზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეცვალეთ ის.
- დაათვალიერეთ დამცავი სარქველის გადაღვრა;
- შეამოწმეთ საფართოებელი ჭურჭლის წნევა სისტემის დაცლის შემდეგ (წნევა უნდა იყოს 1 ბარი);
- შეამოწმეთ წნევა გათბობის სისტემაში (მანომეტრის ჩვენება 1-1.2 ბარი ცივი სისტემისას)
- ვიზუალურად დაათვალიერეთ დამცავი და მართვის მონყობილობები მოკლე ხართვაზე ან არაშესაბამის ცვლილებებზე;
- შეამოწმეთ, რომ ელექტრო მონყობილობებს არ აღენიშნებოდეთ მექანიკური დაზიანებები ან კოროზია შეერთებებში;
- დარწმუნდით აირის სარქველის და მთლიანად აირის სისტემის ჰერმეტიულობაში;
- შეამოწმეთ ანთება და სწორი მუშაობა.

Eolo Star 11 4R		
	CO₂ მინ. სიმძლავრეზე.	CO₂ მაქს. სიმძლავრეზე.
G 20	3.20% (± 0,5)	3.20% (± 0,5)
G 31	3.50% (± 0,5)	3.50% (± 0,5)

Eolo Star 24 4E		
	CO₂ ნომ. სიმძლავრეზე.	CO₂ მინ. სიმძლავრეზე.
G 20	6.90% (± 0,5)	3.20% (± 0,5)
G 31	7.80% (± 0,5)	3.50% (± 0,5)

ყოველწლიურ შემოწმებასთან ერთად უნდა ტარდებოდეს გათბობის სისტემის ეფექტურობის შემოწმება. ამ შემოწმების მეთოდს და სიხშირეს ადგენს მოქმედი ტექნიკური სტანდარტები.




3.4. ქვაბის ჰიდრაული შეერთება

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

ტექ. მახასიათებლები




აღნიშვნები:

- 1 - სანიტარული ცხელი წყლის გადამწოდი
- 2 - ნაკადის გადამრთველი
- 3 - აირის სარქველი
- 4 - ნაკადის შემზღვეველი
- 5 - სისტემის დამცველი სარქველი
- 6 - სანთურა
- 7 - თბომცვლელი
- 8 - ვენტილატორი
- 9 - დახურული კამერა
- 10 - ნაძვის წნევის გადამრთველი
- 11 - გამონაბოლქვი აირის ქუდი
- 12 - საფართობელი ავზი
- 13 - მიწოდების ტემპ. გადამწოდი

- 14 - დამცავი თერმოსტატი
- 15 - ავტომატური პერგამშვები
- 16 - ქვაბის ტუმბო
- 17 - სისტემის წნევის გადამრთველი
- 18 - " ბაიპასი "
- 19 - დამცავი სარქველი 3 ბარი
- 20 - სისტემის შემავსებელი სარქველი

- G - აირის მიწოდება
- AC - სანიტარული ცხელი წყლის გამოსასვლელი
- AF - სანიტარული წყლის შესვლა
- R - სისტემის მიწოდების მაგისტრალი
- M - სისტემის უკუ მაგისტრალი

3.5 ქვაბის ელექტრო შეერთება.



აღნიშვნა:

- A3 - ელ.პლატა
- B1 - ნაკადის გადამწოდი
- B2 - სანიტარული წყლის გადამწოდი
- CAR^{V2} - დისტანციური პულტი (დამატებით)
- E3 - აალების ელექტროდი
- E4 - დამცავი თერმოსტატი
- F1 - ფაზის მცველი
- LCD1 - დისპლეი
- M1 - ქვაბის ტუმბო
- M20 - ვენტილატორი
- S2 - სელექტორი
- S3 - გადატვირთვის ლილაკი
- S4 - სანიტარული წყლის გადამრთველი

- S5 - სისტემის წნევის გადამრთველი
- S6 - ნაკადის წნევის გადამრთველი
- S20 - ოთახის თერმოსტატი (დამატებით)
- S21 - სანიტარული წყლის ტემპ. მომატების ლილაკი
- S22 - სანიტარული წყლის ტემპ. დაწვევის ლილაკი
- S23 - გათბობის წყლის ტემპ. მომატების ლილაკი
- S24 - გათბობის წყლის ტემპ. მომატების ლილაკი
- T1 - აალების ტრანსფორმატორი
- T2 - ქვაბის პლატის ტრანსფორმატორი
- X40 - ოთახის თერმოსტატის გადამრთველი
- Y1 - გაზის სარქველი

- Y2 - გაზის სარქველის მოდულატორი
 - 1 - მომხმარებლის ინტერფეისი
 - 2 - 230 Vac 50 Hz ჰვ. კვება
- ფერების აღნიშვნა:
- BK - შავი
 - BL - ლურჯი
 - BR - ყავისფერი
 - G - მწვანე
 - DY - რუხი
 - OR - სტაფილოსფერი
 - P - იისფერი
 - PK - ვარდისფერი
 - R - წითელი
 - W - თეთრი
 - W/BK - თეთრი/შავი
 - Y - ყვითელი
 - Y/G - ყვითელი/მწვანე

33

დისტანციური მართვის პანელი CAR^{V2}.


ქვაბის მართვა შეიძლება დისტანციურად CAR^{V2} ან Mini CRD მართვის პანელების გამოყენებით, რომლებიც ერთდებიან ქვაბის მართვის პანელის 40 და 41 კონტაქტებზე X40 ქუროს გაუქმების შემდეგ. ქვაბს შეიძლება შეუერთდეს მხოლოდ ერთი დისტანციური პანელი.

ოთახის თერმოსტატი.

ქვაბთან შეიძლება შეერთდეს ოთახის თერმოსტატი

(S20), რომელიც ერთდება 40 და 41 კონტაქტებზე X40 ქუროს გაუქმების შემდეგ.

X6 შესაერთებელი გამოიყენება ავტომატური შემონმებისთვის.

მომხმარებლის ინტერფეისი განლაგებულია ქვაბის მართვის პანელის მირჩილულ მხარეს 

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

ტექ. მახასიათებლები

3.6. შესაძლო უნესრიგობები და მათი აღმოფხვრა.

მონტაჟი

ტექ. მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კვალიფიციური პერსონალის მიერ



ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

ტექ. მახასიათებლები

გაუმართაობა	შესაძლო მიზეზი	მოქმედება
აირის სუნი	გამონვეულია არაპერმეტიული აირის შეერთებებით	შეამოწმეთ აირის მილსადენის შეერთებები.
ვენტილატორი მუშაობს, მაგრამ არ ხდება ქვაბის ანთება	არ ხდება ნამწვი აირების წნევის გადამწოდის გადართვა.	დარწმუნდით, რომ: 1) საკვამლე მილის სიგრძე არ აღემატება დასაშვებს. 2) საკვამლე მილი არ არის ნაწილობრივ ან მთლიანად დახშული. 3) დიაფრაგმა შეესაბამება საკვამლე მილის ტიპს. 4) დახურული კამერა გამართულია. 5) ვენტილატორზე დაბვა 196 ვ-ზე დაბალია.
არარეგულარული წვა (წითელი ან ყვითელი ალი).	ბინძური სანთურა, საკვამლე მილის არასწორი მონტაჟი.	განმინდეთ შესაბამისი კომპონენტები, შეამოწმეთ საკვამლე მილის მონტაჟი.
გადახურების თერმოსტატის ხშირი ამოქმედება	დაბალი წნევა სისტემაში, შეფერხებული ცირკულაცია, დაბლოკილი ტუმბო, ქვაბის მართვის პანელის უნესრიგობა.	- შეამოწმეთ წნევა ქვაბზე. - გახსენით რადიატორების სარქველები.
ხმაური გათბობის სისტემაში	ჰაერის არსებობა სისტემაში.	- გახსენით ჰაერგამშვები ქვაბზე (ნახ. 33). - დარწმუნდით რომ წნევა საფართოებელში და სისტემაში შესაბამისია. საფართოებლის წნევა უნდა იყოს 1 ბარი, სისტემის 1-დან 1.2 მდე.
ანთების დაბლოკვა	გათბობის ან ცხელი წყლის მოთხოვნისას არ აინთო ქვაბი საჭირო დროის განმავლობაში. ხანგრძლივი გამორთვის შემდეგ შეიძლება გახდეს აუცილებელი ქვაბის გადატვირთვა.	დააჭირეთ გადატვირთვის ღილაკს (1)
ცირკულაციის დაბალი დონე	შეიძლება გამონვეული იყოს კალციუმის ან მაგნიზიუმის მარილების ნაღებით	დაუკავშირდით კვალიფიციურ პერსონალს მარილების მოსაშორებლად. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ბითერმულ თბომცვლელს. ბითერმული თბომცვლელიდან მარილების მოშორება უნდა ხდებოდეს არაკოროზიული ნივთიერებების გამოყენებით.
კონდენსაციის კვალი ქვაბში.	შეიძლება მიუთითებდეს ქვაბის მუშაობაზე დაბალ ტემპერატურაზე.	ამუშავეთ ქვაბი მაღალ ტემპერატურაზე.

3.7 ქვების გადაყვანა სხვა ტიპის აირზე.

სხვა ტიპის აირზე გადაყვანა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ კვალიფიციური პერსონალის მიერ.



ქვების სანვავი აირის ტიპი მითითებულია მის ტექნიკურ მონაცემთა ფირფიტაზე. თუ ხდება ქვების გადაყვანა სხვა ტიპის სანვავ აირზე, აუცილებელია სპეციალური გადამყვანი კომპლექტის გამოყენება.

შემდეგი ტიპის ღონისძიებები უნდა გატარდეს:

- გამორთეთ ქვაბი ელ. ქსელიდან;
- შეცვალეთ სანთურის საქშენები, დარწმუნდით, რომ დამონტაჟებულია სპეციალური შემამჭიდროებელი რგოლები აირის გამანაწილებელსა და საქშენს შორის (კომპლექტის შემადგენელი ნაწილი);
- ჩართეთ ქვაბი ელ. ქსელში;
- ქვაბის მართვის პანელზე აირჩიეთ პარამეტრი (P01) მეთანის (nG) ან თხევადი აირის (LG) შესაბამისად და დაიმახსოვრეთ ის;
- გააკორექტირეთ ნომინალური სიმძლავრე;
- გააკორექტირეთ ნომინალური სიმძლავრე ცხელი წყლის ხმარებისას;
- დაარეგულირეთ (თუ აუცილებელია) მინიმალური სიმძლავრე გათბობისას (პარ. 3.9 პარამეტრი P05);
- დაარეგულირეთ (თუ აუცილებელია) მაქსიმალური სიმძლავრე გათბობისას (პარ. 3.9 პარამეტრი P06);
- დამთავრების შემდეგ ქვების ტექნიკურ ფირფიტაზე მიაკარით ახალი ინფორმაცია გამოყენებული აირის ტიპის შესახებ.

ჩატარებული რეგულირების მიშვნელობები უნდა შეესაბამებოდეს ცხრილს (პარ. 4.1).

სხვა ტიპის აირზე გარდაქმნის შემდგომი შემოწმებები.

- შეამოწმეთ, რომ ალი წვის კამერაში არ იყოს ძალიან დაბალი ან ძალიან მაღალი.
- დარწმუნდით, რომ აირის გასაზომი გამომყვანები ბოლომდეა ჩაკეტილი და აირის სისტემა ჰერმეტიულია.

ყურადღება:
აუცილებლად დარწმუნდით სანვავი აირის სისტემის ჰერმეტიულობაში.



ტექნიკური მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს ავტორიზირებული სერვისული სამსახურის მიერ



სანთურის რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს "U"-სებრი ან ციფრული დიფერენციალური მანომეტრით, რომელიც ერთდება წნევის გასაზომ ნერტილზე. მიღებული წნევები უნდა შეესაბამებოდეს ცხრილში მოყვანილ მნიშვნელობებს.

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

ტექ. მახასიათებლები

3.8 აირის სარქველის რეგულირება.

რეგულირების დაწყებამდე დარწმუნდით, რომ შესრულებულია ყველა მოთხოვნა პარ. 1.20.



შესაძლო რეგულირებები

- ქვაბის ნომინალური სიმძლავრის რეგულირება.
- გააქტიურეთ "საკვამლის განმეორების" ფუნქცია (პარ. 3.12) ცხელი წყლის რეჟიმში, დარწმუნდით, რომ ქვაბი მუშაობს მაქსიმალურ სიმძლავრეზე (ქვაბის ეკრანზე გამოისახება სიმბოლო "99").
- სპილენძის ჭანჭიკით (პობ. 3 ნახ. 34) დაარეგულირეთ ქვაბის სიმძლავრე ცხრილში მოყვანილი მნიშვნელობების შესაბამისად (პარ. 4.1)
- საათის ისრის მიმართულებით მოტრიალებისას სიმძლავრე იზრდება, ხოლო საწინააღმდეგოდ - მცირდება.
- მინიმალური სიმძლავრის რეგულირება ცხელ წყალზე (ნახ. 34).

შენიშვნა: ეს ოპერაცია წარმოებს მხოლოდ ნომინალური სიმძლავრის რეგულირების შემდეგ.

მინიმალური სიმძლავრის რეგულირება წარმოებს ჭანჭიკით (2) დაბლოკილი ჭანჭილი (3)- ის დროს;

- დააჭირეთ ლილაკს 4 (ნახ. 30) ვიდრე ქვაბის ეკრანზე არ გამოისახება სიმბოლო "00". ქვაბი გადადის მინიმალურ სიმძლავრეზე. წნევა რომელზეც მიიღწევა მინიმალური სიმძლავრე არ უნდა იყოს ცხრილში მოცემულ მინიმალურ წნევაზე ნაკლები (პარ. 4.1).

შენიშვნა: პლასტიკური ხუფი (6), რომელიც მოიხსნა რეგულირებისას ისევ უნდა დაყენდეს აირის სარქველზე.


- ქვაბის მინიმალური სიმძლავრის რეგულირება გათბობის რეჟიმში.

შენიშვნა: ოპერაცია წარმოებს მხოლოდ ცხელი წყლის რეჟიმში მინიმალური სიმძლავრის რეგულირების შემდეგ.

გათბობის რეჟიმში მინიმალური სიმძლავრის რეგულირებისთვის შეცვალეთ პარამეტრი (5), მნიშვნელობის გაზრდით სიმძლავრე იზრდება და პირიქით.

- აირის წნევა გათბობის რეჟიმზე მინიმალური სიმძლავრის რეგულირებისას არ უნდა იყოს ცხრილში მოცემულ მნიშვნელობაზე ნაკლები (პარ. 4.1).

VK 8105 M აირის სარქველი



განმარტება:

- 1 - კოჭა
- 2 - მინ. სიმძლავრის რეგულირება
- 3 - მაქს. სიმძლავრის რეგულირება
- 4 - გამომავალი წნევის გაზომვის წერტილი
- 5 - შემავალი წნევის გაზომვის წერტილი
- 6 - დამცავი ხუფი

3.9 მართვის ბლოკის დაპროგრამება.

ბოილერზე შესაძლებელია შესრულდეს რამდენიმე მუშა პარამეტრის დაპროგრამება. ამ პარამეტრების შეცვლით ბოილერი შეიძლება დარეგულირდეს კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამირების დასაწყებად იმოქმედეთ შემდეგნაირად (ნახ. 29).

- დააჭირეთ ღილაკებს (1) და (2) დაახლოებით 5 წამით;
- ღილაკების (3) და (4) -ის გამოყენებით აირჩიეთ პარამეტრი ცხრილის მიხედვით;
- შეარჩიეთ მნიშვნელობა ცხრილიდან ღილაკებით (5) და

(6):

- დაადასტურეთ მნიშვნელობა Reset ღილაკის (1) დაჭერით დაახლოებით 5 წამის განმავლობაში.

შენიშვნა: თუ 2 წუთის განმავლობაში არ ხდება ღილაკებზე დაჭერა, ოპერაცია ავტომატურად უქმდება, მისი შეწყვეტა ასევე შეიძლება ღილაკებზე (1) და (2) ერთდროული დაჭერით 5 წამის განმავლობაში.

Id პარამეტრი	პარამეტრი	აღწერა	დიაპაზონი	ნაგულისხმევი
P00	მზის პანელების შერჩევა	ამ ფუნქციის პარამეტრები გამოიყენება საქვების მზის პანელებთან ერთად გამოყენებისათვის. პარამეტრის P0-ზე "მზის" რეჟიმში დაყენების დროს, სანთურის გამორთვა მიიღება კორელაციისა და ცხელი წყლის ტემპერატურატურის კორექტირებასთან. გამორთულ რეჟიმში სანთურა ითიშება მაქსიმალურ მნიშვნელობაზე.	on - oF	oF
P01	აირის ტიპის არჩევა	ამ ფუნქციის დაყენება საჭიროა ქვების დასარეგულირებლად რომ შეძლოს მუშაობა აირის შესაბამისი ტიპით	nG - მეთანი LG - LPG	დაარეგულირეთ გამოყენებული აირის ტიპის მიხედვით
P02	გათბობის ხართვის დაყოვნების მოთხოვნა ოთახის თერმოსტატიდან და დისტანციური მართვიდან.	ქვები ჩართვება ჩართვამდე მოთხოვნის შემდგომ 3 წამში. კონკრეტული სისტემების შემთხვევაში (მაგ., მოტორიზებული თერმოსტატული ვენტილების სისტემები და ა.შ.) შეიძლება საჭირო გახდეს ანთების დაყოვნება.	00 - 20 (00 = 3 წამი 01 = 30 წამი 02 = 60 წამი 20 = 600 წამი)	00
P03	ფუნქცია გაჭონვის სანიხააღმდეგო	ეს ფუნქცია ამცირებს გათბობის ტემპერატურას 57°C-მდე იმ შემთხვევაში, თუ გათბობის რეჟიმში აღმოჩენილი იქნება სანიტარული ცხელი წყლის ციკლაქცია. (გაჭონვა)	on - oF	oF
P04	შიდა ცხელი წყლის პოსტ-ციკლაქციის ფუნქცია	კირქვის წარმოქმნის შესამცირებლად, ტუმბო განსაზღვრული დროით 2.5 წამით რჩება ჩართული ზამთარში და 1.5 წამით ზაფხულში.	on - oF	on
P05	ცენტრალური გათბობის მინიმალური სიმძლავრე	ქვებს ასევე აქვს ელექტრონული მოდულაცია, რომელიც არეგულირებს ქვების სიმძლავრეს სახლის მაქსიმალური ეფექტურობით გასათბობად. ქვების მუშაობა ხორციელდება აირის წნევის ცვალებადობით იმის მიხედვით რა თბური სიმძლავრე უნდა უზრუნველყოს ქვებში. შენიშვნა: ქვები დამზადებულია და კალიბრებულია ცენტრალური გათბობის ციკლში ნომინალური წარმადობისთვის. ნომინალური სიფთოს წარმადობის მისაღწევად საჭიროა დაახლოებით 1.0 წუთი. ამ მნიშვნელობის შეცვლა შესაძლებელია (P08) პარამეტრის მეშვეობით.	00 - 70 %	ქარხნული შემოწმების შესაბამისად
P06	ცენტრალური გათბობის მაქსიმალური სიმძლავრე	ანთების ფაზაში ბოილერი ასრულებს ანთებას მაქსიმალური ნომინალური სიმძლავრის მისაღწევად. (P06).	00 - 99 (99 = 100%)	99
P07	ცენტრალური გათბობის ხართვის ტაიმერი	ქვები აღჭურვილია ელექტრონული ტაიმერით, რომელიც ხელს უშლის სანთურის ხშირ ანთებას ცენტრალური გათბობის რეჟიმში.	01 - 20 01 = 30 წამი 02 = 60 წამი 20 = 600 წამი	06
P08	ცენტრალური გათბობის ტაიმერი	ანთების ფაზაში ბოილერი ასრულებს ანთებას მაქსიმალური ნომინალური სიმძლავრის მისაღწევად. (P06).	01 - 20 01 = 30 წამი 02 = 60 წამი 20 = 600 წამი	20
P09	ბოილერის ტიპი	არ გამოიყენება ამ მოდელზე	01	01
P10	კვება ანთება	არ გამოიყენება ამ მოდელზე	---	---
P11	გათბობის მინიმალური ტემპერატურა	განსაზღვრავს მინოდების მინიმალურ ტემპერატურას	35 - 80 °C	35 °C

მონტაჟი

ექსპლუატაცია

ტექნიკური მომსახურება

ტექ. მახასიათებლები

P12	გათბობის მაქსიმალური ტემპერატურა	განსაზღვრავს მინოდების მაქსიმალურ ტემპერატურას	35 - 80 °C	80°C
P13	ტემპერატურის გრადიენტი	ცვლის არასაკმარისი ცირკულაციის შედეგად კრიტიკულ სიდიდეს(E27)	00 - 15 (0 = ფუნქცია დეაქტივირებული)	11
P14	ტუმბოს ფუნქციონირება	ტუმბოს შეუძლია ორნაირად ფუნქციონირება: oF წყვეტილი: „ზამთრის“ ფაზაში, ტუმბო იმართება ოთახის თერმოსტატით ან დისტანციური პულტით. on განგრძობადი: „ზამთრის“ რეჟიმში ტუმბო ყოველთვის ჩართულია და მამასადამა ყოველთვის მუშაობს.	oF - on	oF
P15	გაზის სარქველის კალიბრება	არ გამოიყენება ამ მოდელზე	---	---
P16	სარქველის შემოწმება	არ გამოიყენება ამ მოდელზე	---	---
P17	მზის პანელების დაყოფნა	ჩვეულებრივ, სანიტარული ცხელი წყლის ონკანის გახსნისას ქვაბი მოძებნალოდ გადადის სანიტარული ცხელი წყლის წარმოების ციკლში. მზის პანელების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია შევცვალოთ ქვაბის ჩართვის დრო, რომელიც მოხდება მხოლოდ მზის კოლექტორის წრედში წყლის ტემპერატურის შემოწმების შემდეგ. თუ მზის კოლექტორის წრედში წყლის ტემპერატურა საკმარისია, მაშინ ქვაბი ჩაირთვება დაყოფნით.	00 - 60 (00 = ფუნქცია დეაქტივირებული) 01 - 60 ნაში	00
P18	ეკრანის განათება	განსაზღვრავს ეკრანის განათების რეჟიმს. 00 = (გამორთულია) დისპლეის ჩართვება ღილაკზე მიჭერისას (გამორთვის დრო = 15 წამი). 01 = (ავტო) იგივე რაც 00 შემთხვევაში, და აგრეთვე ჩართება აალების დროს 02 = (On) მუდმივად ჩართული	00 - 02	01
P19	ტემპერატურის მომატების მინოდების გამორთვა (გათბობა)	ჩართვისას ზრდის ტემპერატურის მინოდების მაგისტრალში, მხოლოდ პირველი 30 წამის განმავლობაში.	on - oF	on

3.10 მზის პანელებთან დანყვილება.

ქვაბი მომზადებულია წინასწარ შემთბარი წყლის მისაღებად მზის პანელებიდან (მაქსიმუმ 65°C ტემპერატურამდე). ყველა შემთხვევაში დაამონტაჟეთ შემრევი სარქველი ჰიდრავლიურ წრედში ქვაბის ცივი წყლის შესასვლელში.

ქვაბის უკეთესი ფუნქციონირებისათვის მზის სარქველზე დააყენეთ 5 °C - ით მეტი ტემპერატურა ვიდრე ქვაბის მართვის პანელზე.



ამ შემთხვევაში პარამეტრი P00 (მზის პანელის არჩევა) უნდა გადაირთოს "იი" -ზე, ხოლო პარამეტრი P17 (მზის დაყოვნება) უნდა შეირჩეს გამომდინარე იქიდან, რა დაშორებაა მზის პანელის ტევადი ავზიდან გათბობის ქვაბამდე. რაც უფრო დიდია მანძილი, მით ხანგრძლივი დაყოვნება უნდა შეირჩეს.

3.11 ავტომატური მდორე ანთების ფუნქცია.

სანთურის ანთების ფაზაში ქვაბის მართვის პანელი ახდენს აირის სარქველზე აირის წნევის თანდათანობით გამზრდას წინასწარ დაყენებული ხანგრძლივობით. ეს ხელს უწყობს სიმძლავრის გადანაწილებას სხვადასხვა შემთხვევებში.

3.12 "საკვამლის განმენდის" ფუნქცია.

თუ აქტიურია, ეს ფუნქცია უზრუნველყოფს ქვაბის მუშობას მაქსიმალურ სიმძლავრეზე (P06) 15 წუთის განმავლობაში.

ამ შემთხვევაში ყველა პარამეტრის რეგულაცია გამორთულია და მხოლოდ გადახურების და მიწოდების ტემპერატურის თერმოსტატია აქტიური. გასააქტიურებლად დააჭირეთ ღილაკს Reset სულ მცირე 5 წამით. ფუნქციის ჩართვაზე მიანიშნებს სიმბოლოების ციმციმი (8 და 11 ნახ. 30). ეს ფუნქცია ტექნიკოსს საშუალებას აძლევს შეამოწმოს წვის პარამეტრები. შემოწმების შემდეგ გააუქმეთ აღნიშნული ფუნქცია ქვაბის გამორთვით და ხელახალი ჩართვით, ან დააჭირეთ reset ღილაკს დაახლოებით 5 წამის განმავლობაში (პოზ. 1 ნახ. 30).

გათბობის სიმძლავრის მნიშვნელობის P06 და P05 პარამეტრების დაყენება შესაძლებელია ღილაკებით (3 ან 4). სიმძლავრე ივცლება ერთი პროცენტით ღილაკებზე დაჭერით (5 ან 6).

თუ გსურთ "საკვამლის განმენდის " ფუნქციის გააქტიურება ცხელ წყალზე, გახსენით ცხელი წყლის ონკანი სანთურის ჩართვის შემდეგ.

ეკრანზე სიმძლავრის პროცენტული მნიშვნელობა ივცლება არსებული მიწოდების ტემპერატურის მნიშვნელობით.



3.13 ტუმბოს დაბლოკვის სანინააღმდეგო ფუნქცია.

მაფხულის რეჟიმში (F) ქვაბი ყოველ 24 საათში 30 წამით რთავს საცირკულაციო ტუმბოს, რათა არ მოხდეს ტუმბოს ბლოკირება ხანგრძლივი უმოქმედობისას. მამთრის რეჟიმში (S) ტუმბო ირთვება ყოველ 3 საათში 30 წამით.

3.14 ცხელი წყლის გაჟონვის სანიმალმდეგო ფუნქცია.

ეს ფუნქცია ზღუდავს გათბობის ტემპერატურას 57°C - მდე, თუ გათბობის რეჟიმში მუშაობისას ფიქსირდება ცხელი წყლის კონტურში გაჟონვა (მარილების წარმოქმნის შესამცირებლად). ფუნქცია იმართება (P3) პარამეტრით.

3.15 ელექტრო პლატის პერიოდული თვითდიაგნოსტიკა.

ცენტრალური გათბობის ან ცხელი წყლის რეჟიმში მუშაობისას ფუნქცია აქტიურდება ბოლო შემოწმებიდან/კვების მიწოდებიდან ყოველ 18 საათში. ცხელი წყლის რეჟიმში ფუნქციონირების შემთხვევაში თვითდიაგნოსტიკა იწყება ჩართვის შემდეგ 10 წუთის განმავლობაში, და გრძელდება დაახლოებით 10 წამი.

თვითდიაგნოსტიკის დროს ქვაბი რჩება გამორთული.



3.16 გათბობის ტაიმერი

ქვაბს გააჩნია ელექტრონული ტაიმერი სანთურის ხშირი ანთების გამოსარიცხად. ქარხნულად ტაიმერი დაყენებულია 3 წუთზე.

ტაიმერის დროის შესაცვლელად შეცვალეთ პარამეტრი (P07) შესაბამისი ცხრილის მიხედვით.

მონტაჟი

ექსპლუატაცია


ტექნიკური მომსახურება

ტექ. მახასიათებლები

3.17 გარსაცმის დემონტაჟი.

ბოილერის ტექნიკური მომსახურების შესრულების მიზნით შესაძლებელია მისი კორპუსის მოხსნა, როგორც აღწერილია ქვემოთ (ნახ. 34):

- მოხსენით ჩარჩო (1), როგორც ეს ნაჩვენებია ისრებით.
- მოუშვით 2 ხრახნი (2) და 2 ქვედა ხრახნი (3) .
- გამონიეთ ხუფი (4) წინ და ზევით.



4 ტექნიკური მახასიათებლები

4.1 ცვალებადი თბური სიმძლავრე.

სიმძლავრის მნიშვნელობები შესაბამისაა 0.5მ საკვამლე მილის სიგრძეს. სანვაი აირის ტემპერატურა 15°C და წნევა 1013 მბარი.

Eolo Star 11 4R.

სიმძლავრე	სასარგებლო სიმძლავრე		მეთანი (G20)			პროპანი (G31)		
			გაზის ხარჯი სანთურაზე	წნევა საქმენი სანთურა		გაზის ხარჯი სანთურაზე	წნევა საქმენი სანთურა	
(კვტ)	(კვტ)		(კვ/სთ)	(კპა)	(%)	(კვ/სთ)	(კპა)	(%)
25.5	23.5	ცხელი წყალი	2.70	1.14	100	1.04	3.62	100
12.8	11.3	გათბობა	1.35	0.31	19	0.52	0.94	18
12.8	11.3		1.35	0.31	19	0.52	0.94	18
7.6	6.7	ცხელი წყალი	0.80	0.12	0	0.31	0.37	0

Eolo Star 24 4E.

სიმძლავრე	სასარგებლო სიმძლავრე		მეთანი (G20)			პროპანი (G31)		
			გაზის ხარჯი სანთურაზე	წნევა საქმენი სანთურა		გაზის ხარჯი სანთურაზე	წნევა საქმენი სანთურა	
(კვტ)	(კვტ)		(კვ/სთ)	(კპა)	(%)	(კვ/სთ)	(კპა)	(%)
25.5	23.5	გათბობა + ცხელი წყალი	2.70	1.14	100	1.04	3.62	100
12.8	11.3		1.35	0.31	19	0.52	0.94	18
7.6	6.7	ცხელი წყალი	0.80	0.12	0	0.31	0.37	0

4.2 წვის პარამეტრები

		G20	G31
აირის საქმენის დიამეტრი	მმ	1.35	0.79
აირის წნევა	მბარ(მმ H ₂ O)	20 (204)	37 (377)
Eolo Star 11 4R			
ნამწვი აირების ხარჯი ნომინალურ სიმძლავრეზე	კგ/სთ	55	57
ნამწვი აირების ხარჯი მინიმალურ სიმძლავრეზე	კგ/სთ	55	57
CO ₂ at Nom. O ₂ at Nom.	%	3.20 15.20	3.50 15.60
CO ₂ at Min. O ₂ at Min.	%	3.20 15.20	3.50 15.60
CO with 0% O ₂ at Nom./Min. Q.	ppm	65	76
NO _x with 0% O ₂ at Nom./Min. Q.	mg/kWh	151	187
ნამწვი აირების ტემპერატურა ნომინალურ სიმძლავრეზე	°C	108	110
ნამწვი აირების ტემპერატურა მინიმალურ სიმძლავრეზე	°C	108	110
კონცენტრული საკვამლის წნევა Ø 38 დიაფრაგმისას	ბა	68	
კონცენტრული საკვამლის წნევა Ø 42.5 დიაფრაგმისას	ბა	89	
Eolo Star 24 4E			
ნამწვი აირების ხარჯი ნომინალურ სიმძლავრეზე	კგ/სთ	53	54
ნამწვი აირების ხარჯი მინიმალურ სიმძლავრეზე	კგ/სთ	55	57
CO ₂ at Nom. O ₂ at Nom.	%	6.90 8.50	7.80 9.00
CO ₂ at Min. O ₂ at Min.	%	3.20 15.20	3.50 15.60
CO with 0% O ₂ at Nom./Min. Q.	ppm	79 / 75	65 / 76
NO _x with 0% O ₂ at Nom./Min. Q.	mg/kWh	215 / 151	279 / 187
ნამწვი აირების ტემპერატურა ნომინალურ სიმძლავრეზე	°C	128	133
ნამწვი აირების ტემპერატურა მინიმალურ სიმძლავრეზე	°C	108	110
კონცენტრული საკვამლის წნევა Ø 38 დიაფრაგმისას	ბა	68	
კონცენტრული საკვამლის წნევა Ø 42.5 დიაფრაგმისას	ბა	89	

წვის პარამეტრები: მქკ-ს გაბომვის მნიშვნელობები მიღებულია (მინოდება/უკუ ტემპერატურა = 80 / 60 °C), გარე ტემპერატურა = 15°C.

4.3 ტექნიკური მახასიათებლები

		Eolo Star 11 4R	Eolo Star 24 4E
სანიტარული წყლის წარმოების ნომინალური სიმძლავრე	კვტ	25.5	25.5
ცენტრალური გათბობის ნომინალური სიმძლავრე	კვტ	12.8	25.5
სანიტარული წყლის წარმოების მინიმალური სიმძლავრე	კვტ	7.6	7.6
ცენტრალური გათბობის მინიმალური სიმძლავრე	კვტ	12.8	12.8
ცხ. წყლის მინიმალური სიმძლავრე (სასარგებლო)	კვტ	23.5	23.5
გათბობის მინიმალური სიმძლავრე (სასარგებლო)	კვტ	11.3	23.5
ცხ. წყლის მინიმალური სიმძლავრე (სასარგებლო)	კვტ	6.7	6.7
გათბობის მინიმალური სიმძლავრე (სასარგებლო)	კვტ	11.3	11.3
*ეფექტურობა ნომინალურ სიმძლავრეზე (80/60°)	%	92.3	
მ.ქ.კ. ნომინალური თბური სიმძლავრის 30% დატვირთვისას	%	88.2	89.2
სითბოს დანაკარგი კორპუსში, ჩართული/გამორთული სანთურით	ვტ	104 / 116	248 / 116
სითბოს დანაკარგი ჩართული/გამორთული სანთურით	ვტ	1218 / 7	1564 / 7
ცენტრალური გათბობის მაქსიმალური სამუშაო წნევა	ბარი	3	
ცენტრალური გათბობის მაქსიმალური ტემპერატურა	°C	90	
ცენტრალური გათბობის რეგულირებადი ტემპერატურა	°C	35-80	
სისტემის საფართოებელი ავზის მთლიანი მოცულობა	ლ	4.2	
გათბობის საფართოებელი ავზის თავდაპირველი წნევა	ბარი	1.0	
ქვაბში წყლის საერთო მოცულობა	ლ	0.7	
ნაკადი 1000 l/h-ის ხარჯის შემთხვევაში	კპა	30.4	
საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის რეგულირებადი ტემპერატურა	°C	35 - 55	
სანიტარული წყლის მინიმალური წნევა (დინამიკა)	ბარი	0.3	
სანიტარული წყლის მაქსიმალური წნევა	ბარი	10	
საყოფაცხოვრებო ცხელი წყლის მინიმალური სიჩქარე	l/წთ	1.7	
ცხელი წყლის მაქსიმალური წარმადობა (ΔT 30°C)	l/წთ	11.2	
სავსე ბოილერის წონა	კგ	29.7	
ცარიელი ბოილერის წონა	კგ	29.0	
ელექტრო კვება	ვ~/ჰვ	230/50	
ნომინალური მოხმარებული დენი	ა	0.63	
დამონტაჟებული ელექტრო სიმძლავრე	ვტ	130	
ტუმბოს სიმძლავრე	ვტ	--	
ვენტილატორის სიმძლავრე	ვტ	39	
მონწყობილობის ელექტროსისტემის დაცვა	-	IPX5D	
NO _x კლასი	-	2	
გაზომილი NO _x	მგრ/კვტ.სთ	153.9	159.8
გაზომილი CO	მგრ/კვტ.სთ	75.6	62
მონწყობილობის ტიპი		B22 / B22p / B32 / C12 / C32 / C42 / C52 / C62 / C82	

სანიტარული ცხელი წყლის ეფექტურობასთან დაკავშირებული მონაცემები გათვალისწინებულია დინამიური წნევისათვის, რომელიც შეადგენს 2 ბარს, და ტემპერატურისთვის 15°C; მნიშვნელობები იზომება პირდაპირ ქვაბის გამოსვლაზე იმის გათვალისწინებით,

რომ აუცილებელია გამოტოვებული მონაცემების მიღება ცივ წყალთან დაკავშირებით.

- ბოილერის მუშაობის დროს ხმაურის მაქსიმალური სიდიდე შეადგენს < 55 დბა-ს. ხმის დონის მნიშვნელობა მოწმდება ტესტით ნახევრად უქო კამერაში, ბოილერის მუშაობით მაქსიმალური სითბოს წარმადობის დონეზე დამაგრძელებელი კვამლსადაც სიტემით პროდუქტის სტანდარტებით დაცვით.

4.4 ტექნიკური მონაცემების ფირფიტა.


Md		Cod. Md	
Sr N°	CHK	Cod. PIN	
Type			
Q _{nw} /Q _n min.	Q _{nw} /Q _n max.	P _n min.	P _n max.
PMS	PMW	D	TM
NO _x Class			

შენიშვნა: ტექ. მონაცემები მითითებულია ქვაბის მონაცემების ფირფიტაზე

	GEO
Md	მოდელი
Cod. Md	მოდელის კოდი
Sr N°	სერიული ნომერი
CHK	საკონტროლო რიცხვი
Cod. PIN	PIN კოდი
Type	ინსტალაციის ტიპი(ref. CEN TR 1749)
Q _{nw} min.	ცხ. წყლის მინ. სიმძლავრე
Q _n min.	გათბობის მინიმალური სიმძლავრე
Q _{nw} max.	ცხ. წყლის მაქს. სიმძლავრე
Q _n max.	გათბობის მაქს. სიმძლავრე
P _n min.	მინიმალური გამომავალი სიმძლავრე
P _n max.	მაქსიმალური გამომავალი სიმძლავრე
PMS	სისტემის მაქს. წნევა
PMW	სანიტ.წყლის მაქს. წნევა
D	კუთრი ხარჯი
TM	მაქსიმალური მუშა ტემპერატურა
NO _x Class	NO _x კლასი



This instruction booklet is made of ecological paper



Cod. 1.047515ENG - rev. ST.006447/000 - 07/22



immergas.com

Immergas S.p.A.
42041 Brescello (RE) - Italy
Tel. 0522.689011
Fax 0522.680617

	<p>IMMERGAS IMMERGAS SPA - ITALY CERTIFIED COMPANY UNI EN ISO 9001:2015</p>
<p>Design, manufacture and post-sale</p>	